საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №26/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 5 თებერვლის №26 საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიმართ სს დევნა დაიწყო 2004 წელს, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა 2010 წელს. 2011 წლის მარტში, განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა დაცვის მხარის მიერ, თუმცა, -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა (-- --, -- --) მხრიდან, საქმის განხილვა დღემდე უსაფუძვლოდ ჭიანურდება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიმართ სს დევნა მიმდინარეობს უკვე -- წელია, მათ შორის, -- სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში საქმე იმყოფება მეშვიდე წელია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2010 წლის 18 დეკემბრის განაჩენით, -- -- (ძებნილი) ცნობილია დამნაშავედ:

საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -- წლის ვადით. მასვე, -- წლის ვადით ჩამოერთვა სამეწარმეო საქმიანობის უფლება;

საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -- წლის ვადით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - -- ლარი.

საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -- წლის ვადით. აღნიშნული, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა -- წლისა და -- თვის ვადით

თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -- წლის ვადით. აღნიშნული, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა -- წლისა და -- თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ამ მუხლისათვის მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და განესაზღვრა -- წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -- წლის ვადით. აღნიშნული, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა -- წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -- წლის ვადით. აღნიშნული, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა -- წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -- წლის ვადით. აღნიშნული, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა -- წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის წესის შესაბამისად, დანიშნულ სასჯელთა შეკრების საფუძველზე, -- -- სასჯელად განესაზღვრა -- წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და -- წლის ვადით სამეწარმეო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. მასვე, საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - -- ლარი.

2.2. -- -- მიმართ სს საქმე, სააპელაციო წესით განსახილველად რეგისტრირებულია -- სააპელაციო სასამართლოში 2011 წლის 17 მაისს.

2.2.1. 2011 წლის 17 მაისიდან - 2012 წლის 19 ნოემბრამდე, საქმე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაში. საქმეზე დაინიშნა 8 სასამართლო სხდომა, რაც 7 შემთხვევაში გადაიდო სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო ერთ შემთხვევაში, დაცვის მხარის ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო.

2.2.2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, -- -- მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების გამო, 2012 წლის 26 ნოემბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. მოსამართლე -- -- წარმოებაში სს საქმე იმყოფებდა 2012 წლის 26 ნოემბრიდან - 2016 წლის 28 აპრილამდე. საქმეზე დაინიშნა 47 სასამართლო სხდომა.

2.2.3. „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, მსჯავრდებული -- -- განთავისუფლდა სასჯელისაგან.

2.2.4. მოსამართლე -- -- უფლებამოსილების ამოწურვის გამო, 2016 წლის 6 მაისს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2016 წლის 6 მაისიდან - 2018 წლის 8 იანვრამდე, საქმე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაში. საქმეზე დაინიშნა 15 სასამართლო სხდომა.

2.2.5. მოსამართლე -- -- დეკრეტული შვებულების გამო, საქმე 2018 წლის 11 იანვარს განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2018 წლის 11 იანვრიდან - საჩივრის შესწავლის დღემდე, საქმე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაში. საქმეზე მოსამართლის მიერ დაინიშნა 25 სასამართლო სხდომა. არსებული მდგომარეობით მიმდინარეობს საქმის განხილვა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 26 აპრილის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 5 თებერვლის №26 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, -- -- მიმართ სს საქმე, სააპელაციო წესით განსახილველად რეგისტრირებულია 2011 წლის 17 მაისს. საქმე იმყოფებოდა რამდენიმე მოსამართლის წარმოებაში. ამდენად, საქმე საერთო ჯამში -- სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია -- წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც ერთმნიშვნელოვნად ხანგრძლივი პერიოდით საქმის განხილვის შემთხვევაზე მიუთითებს.

საფუძვლიანი შეფასების მიზნებისათვის, იმისათვის, რომ დადგინდეს რამდენად იყო საპროცესო ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევა, მოსამართლე -- -- პერსონალური ბრალეულობით, საკითხი უნდა შეფასდეს კომპლექსურად, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებათა გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (Wemhoff v Germany, §18; Kart v. Turkey[GC]. §68).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა განისაზღვრება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

მაგალითისთვის, საქმეში Ciricosta and Viola v. Italy სასამართლომ მიიჩნია, რომ 15 წლის მანძილზე საქმის განხილვა არ წარმოადგენდა გონივრული ვადის მოთხოვნის დარღვევას, ვინაიდან 17-ჯერ თვით განმცხადებლებმა მოითხოვეს საქმის განხილვის გადადება და არ გამოუხატავთ წინააღმდეგობა 6-ჯერ მოწინააღმდეგე მხარის მიერ საქმის განხილვის გადადების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

საქმეში Union Alimentaria Sanders S.A. v. Spain სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებლის ვალდებულებას წარმოადგენს მცდელობისა და სურვილის გამომჟღავნება, გაიაროს შესაბამისი საპროცესო ეტაპები, თავი შეიკავოს გამაჭიანურებელი ტაქტიკის არჩევისაგან, სრულად გამოიყენოს და იმოქმედოს იმ ფარგლებში, რაც მას მინიჭებული აქვს კანონმდებლობის თანახმად, სამართალწარმოების შემოკლებისათვის. ასევე, როდესაც ევროპული სასამართლო განიხილავს საქმეებს სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, სასამართლო ეხება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების პრინციპს, რომლის თანახმადაც, ეროვნული სასამართლოები ვალდებულნი არიან სათანადოდ განიხილონ მათ წინაშე წარმოდგენილი საქმეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა აუცილებელი გახდეს სასამართლო სამართალწარმოების გადადება გარკვეული მიზეზების, მტკიცებულების მოპოვების გამო (Boddaert v. Belgium).

შიდაკანონმდებლობის დონეზეც, სისხლის სამართლის პროცესში აღიარებულია სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი და დარეგულირებულია ასევე, საქმის განხილვის საპროცესო ვადებიც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ამავე კოდექსის 168^1 და 168^2 მუხლებით გათვალისწინებული განრიდების გამოყენების შემთხვევებისა.

საქართველოს სსსკ-ის 528-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო ინსტანციამ საქმე უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა (1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი).

აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონი საქმის განხილვის ვადის დინების შეწყვეტაში, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას მოიაზრებს, თუმცა, დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისათვის, ვადის შეწყვეტის საფუძვლად ასევე შეიძლება განვიხილოთ კონკრეტული მოსამართლიდან, სხვა მოსამართლისათვის საქმის გადაცემის პირობაც. შესაბამისად, საქმის განხილვის გაჭიანურების საკითხი თითეული მოსამართლის შემთხვევაში უნდა შეფასდეს დამოუკიდებლად, კონკრეტული მოსამართლის პერსონალური,ინდივიდუალური ბრალეულობის

პრინციპის გათვალისწინებით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სს საქმეზე -- -- მიმართ 2018 წლის 11 იანვრიდან - საჩივრის შესწავლის დღემდე, დანიშნულია 25 სასამართლო სხდომა. სასამართლო პროცესებს შორის პერიოდი გონივრულად ხანმოკლეა. საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, რიგ შემთხვევაში სასამართლო ზედიზედ, წინსწრებად ნიშნავდა სასამართლო სხდომებს.

ამდენად, არსებულ მოცემულობაში საქმე მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფება 1 წელსა და 3 თვეზე მეტია, რაც ზოგადად ხანგრძლივ პერიოდს წარმოადგენს საქმის სააპელაციო განხილვისათვის და მიუთითებს დადგენილი 3 თვიანი საპროცესო ვადის (1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი) დარღვევის შემთხვევაზე. თუმცა, შეფასებისთვის ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქმის მოსამართლე -- -- გადაცემის შემდეგ, სააპელაციო განხილვა, (ვინაიდან იგი არ ყოფილა საქართველოს სსსკ-ის 436-ე მუხლის შესაბამისად (1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი) საქმეზე სათადარიგო მოსამართლედ დანიშნული) დაიწყო თავიდან, სასამართლოს მოხსენებისა და აპელანტის შესავალი სიტყვის ეტაპიდან. აღნიშნული კი, შედეგად გულისხმობდა პირველ და სააპელაციო (მოსამართლე -- --) სასამართლო ინსტანციებში გამოკვლეულ მტკიცებულებათა განმეორებით გამოკვლევის სავალდებულობას. შესაბამისად, დადგენილ 3 თვიან ვადაში, მოსამართლის დატვირთვისა და სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვის პირობებში, ზემოაღნიშნულ საპროცესო მოქმედებათა განხორციელება, ობიექტურად შეუძლებელი იყო. შესაბამისად, მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, საპროცესო ვადის დარღვევა უნდა შეფასდეს გამართლებულად.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცომის ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №26/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი